„საქმეები - ექვსი სახისაა, ხოლო ადამიანები - ოთხი კატეგორიის. ორი აუცილებელი შედეგი. სხვადასხვა საზღაური. საზღაური სიკეთის ათმაგია. საზღაური კეთილი საქმის შვიდასმაგია

გადმოცემულია ხურაიმ ბინ ფაათიქისგან (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი), რომ ალლაჰის მოციქულმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) თქვა: „საქმეები - ექვსი სახისაა, ხოლო ადამიანები - ოთხი კატეგორიის. ორი აუცილებელი შედეგი. სხვადასხვა საზღაური. საზღაური სიკეთის ათმაგია. საზღაური კეთილი საქმის შვიდასმაგია. რაც შეეხება ორ აუცილებელ შედეგს (ამ ექვსი საქმიდან): ვინც მოკვდება ისე, რომ არ შეუქმნია ალლაჰისთვის არაფერი თანამოზიარედ სამოთხეში შევა, ხოლო ვინც მოკვდება ისე, რომ ალლაჰს უთანაზიარებდა რაიმეს ჯოჯოხეთში შევა. რაც შეეხება ტოლ საზღაურს: ვინც განიზრახა კეთილი და მისმა გულმა ისურვა ის იმდენად, რომ ალლაჰმა შეიტყო მისი გულწრფელობა, ამისთვის მას ჩაეწერება ერთი კეთილი საქმე. ხოლო ვინც ჩაიდენს ცოდვას, მას ჩაეწერება ერთი ცუდი საქმე. ვინც ჩაიდენს ერთ კეთილ საქმეს, მისი ჯილდო ათმაგი იქნება. ვინც ალლაჰის გზაზე დახარჯავს, მისი კეთილი საქმე შვიდასმაგად ჩაიწერება. რაც შეეხება (ოთხ) ადამიანთა კატეგორიას, მათ შორის არიან: ისინი (ურწმუნოები), რომლებიც ამ ქვეყნად სიმდიდრით დაჯილდოებულნი იყვნენ, მაგრამ მარადიულ სამყაროში მოკლებულნი იქნებიან; და ისინი (მორწმუნეები), რომლებიც ამ სამყაროში შეზღუდულნი იყვნენ, მაგრამ მარადიულ სამყაროში მათ სიმდიდრეები ელით; და ისინი (ურწმუნოები), რომლებიც შეზღუდულნი იყვნენ როგორც ამ სამყაროში, ასევე მარადიულ სამყაროში; და ისინი (მორწმუნეები), რომლებიც სიმდიდრით დაჯილდოებულნი არიან როგორც ამ სამყაროში, ასევე მარადიულ სამყაროში».

[კარგი (ჰასან)] [გადმოსცა აჰმადმა]

ალლაჰის მოციქულმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) გვამცნო, რომ საქმეები ექვსი სახეობისაა, ხოლო ადამიანები ოთხ კატეგორიად იყოფიან. ექვსი სახეობის საქმეები არიან: პირველი: ვინც მოკვდება და ალლაჰისთვის არ შეუქმნია არაფერი თანამოზიარედ, მას სამოთხე ეკუთვნის. მეორე: ვინც მოკვდება ისე, რომ ალლაჰს თანაზიარს უდგენდა, მისთვის სავალდებულოა ჯოჯოხეთი და მასში სამუდამოდ დარჩება. ეს ორი გარდაუვალი შედეგია (ორი მიზეზი და ორი სახის ქმედება, რომლებიც აუცილებლად იწვევს გარკვეულ შედეგებს, კერძოდ, სამოთხეს ან ჯოჯოხეთს). მესამე: კეთილი განზრახვა. ვინც გადაწყვეტს კეთილი საქმის გაკეთებას და გულწრფელად ფიქრობს ამაზე, ვიდრე მის გულში ეს განცდა გაჩნდებოდა ალლაჰმა იცოდა მისი განზრახვა, მაგრამ რაღაც ხელს უშლის ამ კეთილი საქმის შესრულებაში, და მისთვის ჩაიწერება სრული კეთილი საქმე. მეოთხე: ჩადენილი ცუდი დაქმე. ვინც ჩაიდენს ცუდ საქმეს, მისთვის ჩაიწერება ერთი ცუდი საქმე. ეს ორი შედეგი - ანალოგიურია დამატების გარეშე. მეხუთე: კეთილი საქმე, რომელიც ათმაგ კეთილ საქმეს უდრის. ეს არის ის, რასაც ადამიანი განიზრახავს

და შეასრულებს მას; მისთვის ჩაიწერება ათი კეთილი საქმე. მეექვსე: კეთილი საქმე, რომელიც შვიდას კეთილ საქმეს უდრის. ეს არის ის, ვინც ალლაჰის გზაზე ერთ ხარჯს გაიღებს, და მისთვის ეს კეთილი საქმე შვიდასჯერ ჩაიწერება. ეს ალლაჰის წყალობა და მისი მადლია თავის მორჩილ მსახურთა მიმართ. ხოლო რაც შეეხება ადამიანების ოთხ კატეგორიას, ისინი არიან: პირველი: ის, ვისაც ამქვეყნად ფართო ცხოვრება აქვს, უხვი სარჩო და იღებს ყველაფერს რაც სურს, მაგრამ იმქვეყნად შეზღუდულია და მისი ბედი ჯოჯოხეთია. ეს არის მდიდარი ურწმუნო. მეორე: ის, ვისაც ამქვეყნად სარჩო შეზღუდულია, მაგრამ იმქვეყნად ფართო(მდიდრული) ცხოვრება ექნება, და მისი ბედი სამოთხეა. ეს არის ღარიბი მორწმუნე. მესამე: ის, ვისაც შეზღუდული ცხოვრება აქვს როგორც ამქვეყნად, ასევე იმქვეყნად. ეს არის ღარიბი ურწმუნო. მეოთხე: ის, ვისაც ამქვეყნადაც და იმქვეყნადაც ფართო ცხოვრება აქვს. ეს არის მდიდარი მორწმუნე.

https://sunnah.global/hadeeth/ka/show/65014